

რეპროდუქციული ჯანმრთელობა, როგორც უფლება, სამართლებრივი  
ანალიზი და პრაქტიკა საქართველოში

კესო ქარდავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ  
ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

კესო ქარდავა

21.06.2021 წ.

## აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჭრილში და მიზნად ისახავს, გამოკვეთოს უფლების განხორციელების ხარვეზები, არსებული მიღწევები და გაუმჯობესების გზები.

კვლევა ემსახურება, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელობის, როგორც ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის აუცილებელ კომპონენტად წარმოჩენას და იმის ხაზგასმას, რომ ამ უფლების უგულებელყოფა წარმოადგენს ქალთა სისტემურ დისკრიმინაციას და ძირს უთხრის სხვა ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა ადამიანის ღირსება და სიცოცხლის უფლება, ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტზე ხელმისაწვდომობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, განათლებისა და ინფორმაციის უფლებები.

კვლევა განხორციელდა ადამიანის უფლებებზე მომუშავე კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშების, არსებული ლიტერატურის მიმოხილვისა და უცხო ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც გამოვლინდა წინააღმდეგობები საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებსა და არსებულ რეალობას შორის. სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ აქვს ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით და გამოირჩევა პასიურობით დამაბრკოლებელ გარემოებებთან ბრძოლაში. საზოგადოების კეთილდღეობისა და დადებითი შედეგების მიღწევის მიზნით კი მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური პოლიტიკის წარმოება, პრობლემებზე სწორი და მყისიერი რეაგირება .

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** რეპროდუქციული ჯანმრთელობა, რეპროდუქციული უფლებები, დედათა ჯანმრთელობა, ოჯახის დაგეგმა, ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება.

## Abstract

The paper presents an assessment of human rights and state policy on reproductive health and aims to identify gaps in the exercise of the rights, acknowledge existing achievements, and give suggestions for future improvement.

The study serves to highlight the importance of reproductive health as an essential component of human physical, mental and social well-being, and also to emphasize that disregard for these rights systematically discriminates against women, and undermines other fundamental rights such as human dignity, the right to life, and access to the highest standards of healthcare, privacy, education and information rights.

The study was conducted on the basis of reports from human rights research organizations, reviews of existing literature and analysis of foreign experience, which reveal discrepancies between the requirements set by international standards and the existing reality. Unfortunately, the state does not have a unified vision on the subject of reproductive health, and can be aptly characterized as passive in the face of mounting challenges to the public welfare. In order to facilitate the welfare of society, it is important for the state to pursue an active policy and to rapidly respond to existing problems.

**Keywords:** Reproductive Health, Reproductive Rights, Maternal Health, Family Planning, Comprehensive Sexuality Education.